ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 54

24 აპრილი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

17:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.

სხდომას ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი- ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: #11-01191133958; #01191132795 ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

(საკრ.№15-03191113100-03; №15-0319111411-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ლევან მიქავამ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია დიდუბის რაიონის გამგეობის მოთხოვნა. გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში (კოდი 01 01 10) „საქონელი და მომსახურების" მუხლში მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 100 000 ლარით, რასაც აბალანსებს „არაფინანსური აქტივების" მუხლში არსებული ეკონომიით. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ამ წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქუჩების კაპიტალურად შეკეთების სამუშაოების ჩატარება ვერ ესწრება იმის გამო, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, რომელსაც ევალებოდა კაპიტალურად შესაკეთებელ ქუჩებზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ქუჩების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობს და უკვე შესრულებულია მეორე კვარტლით გათვალისწინებულზე მეტი მოცულობის სამუშაოები.

ასევე წარმოდგენილია შესათანხმებლად კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნა, სადაც მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე სტუდენტური და ახალგაზრდული ფესტივალების დაფინანსებისთვის, პროგრამაში „ახალგაზრდული ღონისძიებების" ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) „სხვა ხარჯების" მუხლში დამატებით ესაჭიროებათ 100 000 ლარი. გარდა ამისა ითხოვენ ამავე მუხლში 103 500 ლარის გადმოტანას მესამე კვარტლიდან. დაბალანსება ხდება „სპორტული

დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის“ პროგრამაში, მეორე კვარტლიდან 203 500 ლარის მესამე კვარტალში გადატანით.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და დიდუბის რაიონის გამგეობა ითხოვს მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო - საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა